დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმები შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრები:
სახელი, გვარი: თეკლე ცუცქირიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის №417329 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) კომპონენტის შესაბამისობის შეფასების მიზნით. მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 აპრილს.

წინა ვიზიტის *(დაწესებულების განმეორებითი ავტორიზაცია – 2025 წლის 23–25 ივნისი)* ფარგლებში 5.1 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისობაში“, ვინაიდან დაწესებულებას 5.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით *(სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის არარსებობა)* წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმის განხორციელების ვადად თავდაპირველად განსაზღვრული იყო 2025 წლის სექტემბერი, თუმცა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ვადა გადაიწია 2026 წლის 16 თებერვლამდე.

ავტორიზაციის საბჭომ მონიტორინგი დანიშნა დოკუმენტების გამოთხოვის გზით, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უნდა წარმოედგინა 5.1.2.1 ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცენტრიდან შესაბამისი წერილის გაგზავნის შემდეგ დაწესებულებამ აცნობა, რომ ვერ შეძლო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში და წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომლის ვადებად განსაზღვრულია 2026 წლის 18 თებერვლიდან 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულებაში, რათა გადამოწმებულიყო ფაქტობრივი მდგომარეობა. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ განახლებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები სრულად არ არის შესრულებული და 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა (კერძოდ – სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა) კვლავ არ არის დაკმაყოფილებული.

დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაზიარების შემდგომ, დაწესებულების მიერ არგუმენტირებული წერილის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი და დამატებითი დოკუმენტაცია მიმდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

სამუშაოებთან დაკავშირებული, თუმცა წარმოდგენილი მასალები და ფაქტობრივი გარემოებები ამ ეტაპზე სრულად ვერ ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას, შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, 5.1.2.1 ინდიკატორი კვლავ შეუსაბამოდ განიხილება სტანდარტის მოთხოვნებთან (იხ. ინდიკატორის აღწერა).

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.2.1-ის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის საბოლოო დასკვნა, ხოლო დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა არ არის განხორციელებული. კერძოდ, შენობაში რომლის მე-6-ე სართულზე არის განლაგებული კოლეჯი, სახანძრო კიბე მოწყობილია მხოლოდ პირველი ორი სართულის ნაწილში და სამუშაოების გაგრძელება არ იკვეთება. აღნიშნული საკითხი იდენტიფიცირებული იყო წინა ვიზიტის ფარგლებშიც, რის საფუძველზეც დაწესებულებას მიეცა ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადა (2026 წლის 16 თებერვლამდე), თუმცა მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ მოთხოვნა კვლავ შეუსრულებელია.

IV. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი და დამატებითი დოკუმენტაცია, თუმცა წარმოდგენილი მასალები და ფაქტობრივი გარემოებები ამ ეტაპზე სრულად ვერ ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას, რის გამოც საკითხი კვლავ შეუსაბამოდ განიხილება.

§

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

ნაწილი IV. სტანდარტის აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. კერძოდ,** დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარით აღებული ფართების აზომვითი ნახაზები აკადემიის განთავსების შენობისთვის. აზომვითი ნახაზი - შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის მე-6 სართული, ბათუმი, ტბეთის ქუჩა 4. სართულზე ფართია 930

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

კვ.მ და ასევე, საერთო სარგებლობის ფართი იჯარის მიხედვით 205.8 კვ.მ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით 2025 წლის 10 მარტის 882025256386 განცხადების საფუძველზე , 2031 წლის 1 ოქტომბრამდე მოიჯარედ ფიქსირდება შპს ,,ბათუმის სამედიცინო აკადემია'', მე-6 სართულზე, საერთო ფართი 1098.8 დან 930 კვ.მ-ზე.

იჯარის ხელშეკრულება 03-14 გაფორმებულია 2025 წლის 10 მარტს დაწესებულების ფართი შედგება შემდეგი სივრცეებისგან:

ა) ფოიე;

ბ) აივანი 8 სასწავლო აუდიტორია A,B,C, (მათ შორის ქიმიური ლაბორატორია, აფთიაქის სიმულაციური გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 1 სასწავლო ფართი);

გ) ბიბლიოთეკა შესაბამისი სამკითხველო სივრცით;

დ) არქივი;

ე) ადმინისტრაციული პერსონალის და პროგრამის განმახორციელებლების სამუშაო სივრცეები;

ზ) სარეკრეაციო სივრცეები;

თ) 5 სანიტარული კვანძი, რომელთა შორის ერთი ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირთა საჭიროებისთვის.

ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტეეული ტექნიკით. მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2025 წლის 19 თებერვლის N2587 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესის" შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ინდიკატორი 5.1.1.1. სრულ შესაბამისობაშია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:** დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები, პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნულს არეგულირებს კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის N2587 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი“. დოკუმენტის მე-2 თავი განსაზღვრავს კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობებს. კერძოდ, აღნიშნული თავის პირველი პუნქტის მიხედვით, აკადემიის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო რესურსები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო საშუალებები მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. მათ ასევე აქვთ წვდომა აკადემიის ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე.

პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სრულად ისარგებლონ როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურით, მათ შორის აღჭურვილობითა და კომპიუტერული ტექნიკით. შიდა სივრცეში მოწყობილია მოსასვენებელი ზონები, ხოლო კოლეჯის აივანი განკუთვნილია როგორც დასვენებისთვის, ისე სოციალური ინტერაქციისთვის და თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები სათანადოდ არის აღჭურვილი. არსებული მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს ხარისხიანი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 5.1.1.2. შესაბამისობაშია

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, კერძოდ:** დაწესებულებაში მოქმედებს ,,სანიტარულ - ჰიგიენური წესებისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟი“, რომელშიც გაწერილია სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვა/დასუფთვების პასუხისმგებლობა და პროცედურები. დათვალიერების შედეგად თვალნათლივ ჩანს, რომ კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების წარემომადგენლებთან გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დასუფთავება და ნარჩენების გატანა ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება. კოლეჯში, აღნიშნულს ახორციელებს ტექნიკური პერსონალი.

ინდიკატორი 5.1.1.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი კოლეჯში განხორციელდა აპრილის თვეში. ვიზიტის პერიოდში შენობაში უზრუნველყოფილი იყო სათანადო ტემპერატურული რეჟიმი, რაც განპირობებულია მოქმედი ცენტრალური გათბობის სისტემით. კოლეჯის ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტ და კომფორტულ გარემოში წარმართვას. ცენტრალური გათბობის სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და უზრუნველყოფს შენობის სრულფასოვან გათბობას. არსებული ტექნიკური პირობები და ინფრასტრუქტურული მოწყობა იძლევა შესაძლებლობას, რომ წლის ცივ პერიოდშიც შენარჩუნდეს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი კომფორტული გარემო. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს უსაფრთხო, სტაბილურ და ადეკვატურ ფიზიკურ პირობებს სასწავლო საქმიანობის განხორციელებისთვის.

ინდიკატორი 5.1.1.4. შესაბამისობაშია

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:** შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემია“ უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის დანერგვას, ეფექტიან ფუნქციონირებასა და მუდმივ განვითარებას. დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების მართვა ხორციელდება სისტემურად და მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

   შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციები მრავალმხრივია და მოიცავს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებასა და ადმინისტრაციისთვის წარდგენას, შესაბამისი კონსულტაციების გაწევას, სისტემის მუშაობის მონიტორინგს, პროფესიული რისკების შეფასების პროცესის ორგანიზებასა და წარმართვას. ასევე, მისი პასუხისმგებლობაა შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის, შესაბამისი გეგმებისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა, სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლების განსაზღვრა და შეფასება, დარღვევებზე მყისიერი რეაგირება, ასევე საფრთხის შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირება და პერსონალის ინფორმირება.დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით, კოლეჯის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები შრომის უსაფრთხოების საკითხებზე. ტრენინგების თემატიკა მოიცავს შრომის უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს, პირველადი დახმარების პრინციპებს, უსაფრთხო შრომის წესებს, მოქმედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

საკანონმდებლო მოთხოვნებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებას, ტექნიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციის წესებს, მანქანა-დანადგარებთან უსაფრთხო მუშაობის პროცედურებს, სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების ნორმებს, საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ევაკუაციის წესებს, ასევე ობიექტზე არსებული რისკების იდენტიფიცირებასა და მათი კონტროლის მექანიზმებს. ტრენინგებში მონაწილეობა და მათი განხორციელება დოკუმენტურად ფიქსირდება შესაბამის ჟურნალებში.

აკადემიაში დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის №14231 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის ვალდებულებებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით. რისკების შეფასება ხორციელდება რეგულარულად, დაწესებულებაში განსაზღვრული გეგმის შესაბამისად — ყოველ 4 თვეში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირადაც, თუმცა არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ინტერვალით კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა რისკების შეფასების შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების მართვა ხორციელდება დაგეგმილი, სისტემური და დოკუმენტურად გამყარებული მიდგომით.

ინდიკატორი 5.1.1.5. შესაბამისობაშია

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ: დაწესებულები** სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია აკადემიაში სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ მომარაგების ვადები, პროცედურები და პასუხისმგებლობები. წესი ასევე მოიცავს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებისა და ნარჩენების მართვას. წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწვლებელი ვალდებულია მოდულის დაწყებამდე 1 კვირით ადრე პგ/პ წერილობით აცნობოს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მასალისა და ნედლეულის სია. აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება და აღრიცხვა.

ინდიკატორი 5.1.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, კერძოდ:** აკადემიაში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სრულად ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და მიზნობრივ განვითარებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ ფარგლებში სისტემურად ხორციელდება როგორც ადამიანური, ისე მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

რესურსების შეფასება ძირითადად ხორციელდება გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ატარებს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების კვლევას. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირდება პრობლემური და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის მიხედვითაც იგეგმება შესაბამისი აქტივობები რესურსების განვითარებისა და განახლების მიზნით.

რაოდენობრივი კვლევების პარალელურად, დაწესებულებაში გამოიყენება პროცესზე დაკვირვების პრაქტიკაც. ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში სხვა თანამშრომლებთან ერთად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სასწავლო პროცესის, გამოყენებული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შეფასებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასევე სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია, მათ შორის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეფასებები, კომენტარები და წერილობითი მიმართვები, სისტემურად მუშავდება და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან, ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციონირების მონიტორინგი და პროფესიული მასწავლებლების საჭიროებების კვლევა.

შიდა მექანიზმები ასევე მოიცავს მატერიალური რესურსების, IT ინფრასტრუქტურისა და საერთო ინფრასტრუქტურის რეგულარულ შეფასებას, რომელიც, როგორც წესი, ყოველწლიურად ხორციელდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – უფრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

ხშირადაც. დამატებით, რესურსების შეფასება მიმდინარეობს მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

კვლევებისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია კონსოლიდირდება ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, რის საფუძველზეც ადმინისტრაციასთან კოორდინაციით მუშავდება კონკრეტული საჭიროებებზე ორიენტირებული განვითარების სამოქმედო გეგმები. აღნიშნული პროცესები დოკუმენტურად დასტურდება, მათ შორის დირექტორის ბრძანებებით რესურსების შევსების, განახლებისა და გაუმჯობესების შესახებ.

ამგვარად, კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი უზრუნველყოფს რესურსების სისტემურ შეფასებას, ანალიზსა და უწყვეტ განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორი 5.1.1.7. შესაბამისობაშია

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ აკადემიის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ აკადემიის შენობაში გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. აკადემიის სველ წერტილში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები, აკადემიას ასევე აქვს ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისათვის.

ინდიკატორი 5.1.1.8. შესაბამისობაშია

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის ყველა აუდიტორიაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება.

ინდიკატორი 5.1.1.9. შესაბამისობაშია

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, კერძოდ:** აკადემიაში გამოყოფილია განცალკევებული სამუშაო ოთახები ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სასაწავლო აუდიტორიები. ასევე, გამოყოფილია ფართი სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სათავსოებისათვის. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისობაშია

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კერძოდ:** მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აკადემიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვისაც. ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 8 თებერვლის №3774 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ საფუძველზე, რომელიც განთავსებულია როგორც ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე, ასევე კოლეჯის ვებ-გვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია განსაზღვრული სამუშაო გრაფიკის ფარგლებში: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე, ხოლო შაბათს – 10:00-დან 14:00 საათამდე. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით, სამუშაო სივრცეებითა და საბეჭდი მოწყობილობებით, რაც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას ეფექტიანად ისარგებლონ როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსებით. წიგნადი ფონდი ინვენტარიზებულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ხოლო მისი განახლება ხორციელდება სისტემატურად. დაწესებულება აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების გაციფრულებას, რაც ზრდის მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

ხელმისაწვდომობას. კოლეჯის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio“ და განთავსებულია ელექტრონული რესურსები შესაბამის რუბრიკაში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე სწრაფ და მოქნილ წვდომას. ბიბლიოთეკით სარგებლობა, მათ შორის წევრობა და დამატებითი სერვისები (ასლების გადაღება, ბეჭდვა, ელექტრონული ვერსიების შექმნა/ჩაწერა), ხელმისაწვდომია უფასოდ. ბიბლიოთეკის მართვა ხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ, დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია და შეესაბამება დადგენილ საბიბლიოთეკო სტანდარტებს.

ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მართვის წესი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *„მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი“;*
- *შრომის უსაფრთხოების მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიუების შედეგები.*

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები**: 2025 წლის 23–25 ივნისს განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს ახალაშენებულ შენობაში, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და მიღებულია ექსპლუატაციაში ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 29 ნოემბრის ბრძანების (ბ12.1422333001) საფუძველზე. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ იკვეთება ისეთი დაზიანებები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა მის უსაფრთხო ექსპლუატაციას. აღნიშნული მიუთითებს, რომ ინფრასტრუქტურის საბაზისო უსაფრთხოების კომპონენტები უზრუნველყოფილია.

   2025 წლის 23–25 ივნისს პერიოდში განხორციელებული ვიზიტის დროს, განმეორებითი ავტორიზაციის პროცესში, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზი სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით. კერძოდ, დაწესებულებას არ გააჩნდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შენობა ექსპლუატაციაში მიღებულია და აკმაყოფილებს სამშენებლო მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა შეაფასა, როგორც შეუსაბამო.

   ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ხარვეზი გარკვეულწილად დაკავშირებულია ნორმატიული გარემოს ცვლილებასთან. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების შედეგად დაკონკრეტდა და გამკაცრდა მოთხოვნები, მათ შორის საევაკუაციო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რამაც განაპირობა დამატებითი შესაბამისობის საჭიროება იმ შენობებშიც, რომლებიც მანამდე ექსპლუატაციაში მიღებული იყო.

   2025 წლის 23-25 ივნისის პერიოდში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, შემუშავებული დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა 5.1 კომპონენტი საბოლოოდ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“, იმ პირობით, რომ დაწესებულება განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფდა ხარვეზის აღმოფხვრას.

აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განხილული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 13 აგვისტოს სხდომაზე. საბჭომ დაადასტურა, რომ დაწესებულება მთლიანობაში აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 5.1 კომპონენტში არსებულ ხარვეზზე. საბჭომ მკაფიოდ მიუთითა, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა არც სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის საბოლოო დასკვნა და არც დარღვევების აღმოფხვრაზე გაცემული ოფიციალური მიწერილობა. მიუხედავად ამისა, საბჭომ, გამონაკლისის სახით, დატოვა „მეტწილად შესაბამისობის“ შეფასება და დაწესებულებას განუსაზღვრა დამატებითი 6-თვიანი ვადა (2026 წლის 16 თებერვლამდე) აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად და მონიტორინგი დანიშნა დოკუმენტების გამოთხოვის გზით, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უნდა წარმოედგინა 5.1.2.1 ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში, ცენტრიდან შესაბამისი წერილის გაგზავნის შემდეგ დაწესებულებამ აცნობა, რომ ვერ შეძლო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში და წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომლის ვადებად განსაზღვრულია 2026 წლის 18 თებერვლიდან 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

წარმოდგენილი მასალებისა და პროცესის ქრონოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ დაწესებულების მიერ ჯერ კიდევ პირველი წერილი / მიმართვა მეიჯარესთან განხორციელდა 2025 წლის აგვისტოში, კერძოდ: დაწესებულებამ 2025 წლის 18 აგვისტოს წერილით (N55) მიმართა მეიჯარეს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტში მითითებული საკითხების აღმოფხვრის მოთხოვნით. ამავე წერილში დაწესებულება აფიქსირებდა მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში ფინანსურადაც ჩართულიყო პროცესის დაჩქარებაში. მიუხედავად ამისა შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესი არ განხორციელებულა ეფექტიანი დაგეგმვისა და დროული ქმედებების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ 2025 წლის 18 აგვისტოს წერილის შემდეგ არ იკვეთება დამატებითი წერილობითი კომუნიკაცია, პროცესის მიმდინარეობის ოფიციალური გადამოწმება, შუალედური ინფორმაციის გამოთხოვა, შესრულების მონიტორინგი ან სხვა დოკუმენტურად დადასტურებული აქტივობები, რაც დაადასტურებდა საკითხის უწყვეტ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

აქტიურ მართვას. მხოლოდ 2026 წლის 9 თებერვლის წერილით იქნა მოთხოვნილი მეიჯარისგან ინფორმაცია, დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის პროცესის, მიმდინარე ან უკვე განხორციელებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნული მიმართვის პასუხად, მეიჯარის მიერ 2026 წლის 18 თებერვალს გაცემული წერილით (out01/01-33) დადასტურდა, რომ დამატებითი საევაკუაციო კიბის მოწყობის პროცესი მიმდინარეობდა, პროექტში განხორციელებული იყო ცვლილებები, მიღებული იყო შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებები და შესრულებული იყო მესამე სართულის საევაკუაციო კიბის კონსტრუქცია. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ დასრულებული სამუშაოების შემდგომ განხორციელდება შესაბამისი ორგანოს მიერ შემოწმება. აღნიშნული პროცესების პარალელურად, ხარისხის სპეციალისტის მიერ 2026 წლის 16 თებერვალს მომზადებული მოხსენებითი ბარათის მიხედვით, განხორციელებულია რიგი ტექნიკური ღონისძიებები, მათ შორის: კვამლსაწინააღმდეგო სისტემის დამფერების და ჰაერის წნევის სისტემის მოწყობა, კვამლის აღმოჩენის დეტექტორის შეკეთება, სათავსოს აღჭურვა ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობითა და ელექტრო ფარნებით, ასევე სახანძრო უსაფრთხოების სისტემებთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური სამუშაოები.

ამავე პერიოდში, კერძოდ 2026 წლის 18 თებერვალს, დაწესებულებამ დაამტკიცა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 18 თებერვლიდან 16 აგვისტომდე პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ღნიშნული ვადა ემთხვევა თავდაპირველად განსაზღვრული ვადის ამოწურვის თარიღს.

ზემოაღნიშნული გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ღონისძიებების ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, 2026 წლის 17 აპრილს განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ადგილზე შეფასდა არსებული ვითარება. ვიზუალური დათვალიერებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს აჩვენეს ის სივრცეები, სადაც დაგეგმილია სახანძრო კიბეებზე გასასვლელი კარების მოწყობა როგორც კოლეჯის სართულზე (კოლეჯი განთავსებულია შენობის მე-6 სართულზე), ასევე შენობის სხვა სართულებზეც. ამასთან, ერთ-ერთ ოთახში დაფიქსირდა სამედიცინო აპარატურის დემონტაჟის დაწყება, რომელიც, წარმომადგენლების განმარტებით, უკავშირდება დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობას მეხუთე სართულის მიმართულებით.

ამავე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ვიზუალური დათვალიერებით დაადასტურეს, რომ რიგი ტექნიკური სამუშაოები განხორციელებული იყო, კერძოდ: კვამლსაწინააღმდეგო სისტემის მოწყობა, კვამლის აღმოჩენის დეტექტორებთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

სამუშაოები, ასევე სახანძრო უსაფრთხოების სისტემებთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ღონისძიებები. დაწესებულების წარმომადგენლებისა და თანამშრომლების მხრიდან ზეპირსიტყვიერად მოხდა ინფორმაციის გაზიარება, რომ კონკრეტული სისტემები, მათ შორის კვამლის დეტექტორები, ფუნქციურად გამართული იყო, თუმცა ექსპერტების მიერ აღნიშნულის ტექნიკური ან ფუნქციური შემოწმება ვერ განხორციელდა. შესაბამისად, არსებული მდგომარეობა დასტურდებოდა მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებითა და ზეპირი განმარტებებით, ხოლო სისტემების ფუნქციური შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი გარემოებები მიუთითებს, რომ დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის პროცესი კვლავ საწყის ეტაპზე იმყოფებოდა და ძირითადად შემოიფარგლებოდა დემონტაჟის სამუშაოებით. ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სხვა სახის აქტიური სამშენებლო ან საინჟინრო სამუშაოები, რაც დაადასტურებდა პროექტის ინტენსიურ განხორციელებას. შესაბამისად, არსებული მდგომარეობა ვერ ადასტურებდა ხარვეზის აღმოფხვრის მიმართულებით არსებით პროგრესს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ზეპირსიტყვიერად დასახელდა სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადა (2026 წლის მაისი), რომელიც არ იყო გამყარებული შესაბამისი დოკუმენტური ან ფაქტობრივი გარემოებებით, რის გამოც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით აღნიშნული ვადა ვერ შეფასდა სანდო პროგნოზად.

დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაზიარების შემდგომ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დამატებითი არგუმენტირებული პოზიცია და დოკუმენტაცია. კერძოდ, 2026 წლის 27 აპრილს გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება ი. მ. თამაზ გოჩიტიძესთან შენობაზე ტექნიკური კიბის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელის მოქმედების ვადად განსაზღვრულია სამუშაოების სრულად შესრულებამდე პერიოდი. ასევე, 2026 წლის 28 აპრილს წარმოდგენილ იქნა სახანძრო საევაკუაციო კარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 2026 წლის 7 მაისს გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება შპს „ოთისთან“ სამშენებლო ინვენტარის ქირავნობასთან დაკავშირებით, რომლის მინიმალური ვადა განსაზღვრულია 3 თვით. დამატებით წარმოდგენილია სამშენებლო მასალების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია 2026 წლის 9 მაისის სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, ასევე მიმდინარე სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტომასალა(გარე ფასადზე ხარაჩოს მოწყობა), რაც მიუთითებს, რომ მონიტორინგის შემდგომ პერიოდში პროცესი შედარებით აქტიურ ფაზაში გადავიდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

ზემოაღნიშნული გარემოებების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ მიუხედავად დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამუშაო პროცესის გააქტიურების ნიშნებისა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება ამ ეტაპზე კვლავ ვერ დასტურდება. დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის საბოლოო დასკვნა ან და მიწერილობა *(ჩვენთვის არ ყოფილა გაზიარებული),* ხოლო დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა დასრულებული არ არის.

ინდიკატორი 5.1.2.1 არ შეესაბამება

2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, კერძოდ: ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება მოიცავს ინფორმაციას პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებთან დაკავშირებით. აკადემიის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია მედდა. სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შესასრულებელი ფუნქცია - მოვალეობები. აკადემიაში არის ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. სტუდენტები და კოლეჯში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და ქმედებების შესახებ, კედელზე გამოკრულია პირველადი დახმარებისთვის განსახორციელებელი ტელეფონის ნომერი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ სარეგისტრაციო ჟურნალს.

ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისია

3.დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კერძოდ: აკადემიამ წარმოადგინა კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, გეგმა დამტკიცებულია აკადემიის 2025 წლის 22 იანვრის 847 ბრძანებით, რომელიც შემუშავებულია კოლეჯის მიერ და განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა, ასევე რისკები. 2025 წლის 24 იანვარს 01 წერილით აკადემიამ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და წარუდგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რის პასუხადაც 2025 წლის 27 იანვრის 218359 წერილით აკადემიას ეცნობა, რომ გეგმა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის 452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. 2025 წლის 30 მაისს საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ აკადემიის სტუდენტებსა და ადმინისტრაციას გააცნეს როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს, ხანძრის ან სხვა საფრთხის შემთხვევისას, როგორ დატოვონ სივრცე სწორად და უსაფრთხოდ. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტორი დადგენილი გრაფიკით ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟების, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ჟურნალები და ფოტომასალა.

ინდიკატორის 5.1.2.3 შესაბამისია

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, კერძოდ: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკას შორის გაფორმებული 2025 წლის 10 მარტის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 3.1.4. პუნქტის თანახმად, მეიჯარე იღებს ვალდებულებას დაიცვას შიდა და გარე პერიმეტრზე წესრიგი. აკადემიას აქვს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე, სწავლების დროს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლისცსისტემით. შიდა რეგულაციებით გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ვიდეოკონტროლის განხორციელება, გამოყოფილია კონტროლსა და ვიდეოჩანაწერებთან წვდომაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;*
- *მედდის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;*
- *წესრიგის დაცვის რეგულაციები;*
- *ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე

- *დაცვასთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;*
- *კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *დასკვნა მდგრადობის შესახებ;*
- *ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

21.05.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ცუცქირიძე